ხელშეკრულება
სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №01-03-67

ქ. თბილისი

8 მაისი 2019 წელი

შემსყიდველი: სსიპ – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, წარმოდგენილი ცენტრის დირექტორის ფუნქციების დროებით შემსრულებლის **დავით ხვედელიძის** სახით;
მისამართი: ქ. თბილისი, გმირი კურსანტების ქ. №4;
საიდენტიფიკაციო კოდი: 202374251;
საბანკო რეკვიზიტები: სახელმწიფო ხაზინა, კოდი: TRESGE22, ა/ა: GE24 NB03 3010 0200 1650 22

მიმწოდებელი: შპს „დეკორი," წარმოდგენილი მისი დირექტორის **თამაზ შარიქაძის** სახით;
მისამართი: ქ. თბილისი, დიდი დიღომი, ი. პეტრიწის ქ, №47ა, ბინა 17;
საიდენტიფიკაციო კოდი: 405148969;
საბანკო რეკვიზიტები: სს „პროკრედიტ ბანკი", ბანკის კოდი: MIBGGE22, ა/ა:GE70 PC004360100031502.

ერთი მხრივ შემსყიდველი და მეორე მხრივ მიმწოდებელი, ჩატარებული ელექტრონული ტენდერის (სატენდერო განცხადების ნომერი N-NAT190007392) გათვალისწინებით, დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება

1.1. ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ (შემდგომში – „ხელშეკრულება") – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით;
1.2. ვალდებულების არაჯეროვანი შესრულება – ვალდებულების ხელშეკრულების პირობებთან შეუსაბამოდ, არასრულად, უხარისხოდ შესრულება.
1.3. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადების გადაცდენა – მხარის მიერ ნაკისრი ვალდებულების ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში შეუსრულებლობა.

მუხლი 2. ხელშეკრულების საგანი

ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრისთვის სხვადასხვა დასახელების საკანცელარიო საქონლის შესყიდვა, რომლის დეტალური მახასიათებლები და რაოდენობა მოცემულია ხელშეკრულების *დანართი №1* -ში (30100000 - საოფისე მანქანა-დანადგარები, აღჭურვილობა და საკანცელარიო ნივთები, კომპიუტერების, პრინტერებისა და ავეჯის გარდა).

მუხლი 3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. შესასყიდი ობიექტის ფასი განისაზღვრება ეროვნულ ვალუტაში;
3.2. ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს **22 206.63** (ოცდაორიათას ორასექვსი ლარი და 63 თეთრი) ლარს დღგ- ს ჩათვლით;
3.3. ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის ერთეულის ფასები მოცემულია ხელშეკრულების დანართ *№1-ში*;

3.4. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯს, მათ შორის კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს (დღგ-ს ჩათვლით);
3.5. დაფინანსების წყარო: *სსიპ – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის საბიუჯეტო ასიგნებები.*

მუხლი 4. შესასყიდი ობიექტის ხარისხი

4.1. მიმწოდებელი პასუხისმგებლობას კისრულობს, რომ მისაწოდებელი საქონელი შეესაბამება წინამდებარე ხელშეკრულების პირობებს;
4.2. მიმწოდებელი აცხადებს, რომ შესასყიდი საქონელი არის უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო და იღებს პასუხისმგებლობას მისი წარმოშობის კანონიერებაზე.

მუხლი 5. შესასყიდი ობიექტის მიწოდების ფორმა, ვადები და ადგილი

5.1. მიწოდების ვადა: შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად, მოთხოვნიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში, 2019 წლის 20 დეკემბრის ჩათვლით, შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად.
5.2. მიწოდების ადგილია ქ. თბილისი, გმირი კურსანტების ქუჩა №4.

მუხლი 6. შესასყიდი ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1. შესასყიდი ობიექტის მიღება ფორმდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, რაც ასევე ადასტურებს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების კეთილსინდისიერად შესრულებას;
6.2. თუ აღმოჩნდება, რომ შესყიდვის საგანი უხარისხო ან/და ნაკლოვანი მიმწოდებელი უზრუნველყოფს უხარისხო საქონლის შეცვლას;
6.3 შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება გაფორმდება ეტაპობრივად (თვეში ერთხელ) შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ;
6.4. მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერის უფლებამოსილება შემსყიდველის მხრიდან მიენიჭოს სსიპ – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ეკონომიკური რესურსების სამსახურის საწყობის მენეჯერს - გოჩა ბასილაიას, ან მისი არყოფნის შემთხვევაში ეკონომიკური რესურსების სამსახურის სხვა უფლებამოსილ პირს. მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების საფუძველია ინსპექტირების განმახორციელებელი პირის დასკვნა.

მუხლი 7. ანგარიშსწორება

7.1. შემსყიდველი იღებს ვალდებულებას, აუნაზღაუროს მიმწოდებელს ხელშეკრულებით განსაზღვრული შესყიდვის ობიექტის ღირებულება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.
7.2. ანაზღაურება მიმწოდებელთან განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, ეროვნულ ვალუტაში;
7.3. საავანსო ანგარიშსწორება არ გამოიყენება.

მუხლი 8. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

8.1. შემსყიდველი ვალდებულია:
8.1.1 ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდებისას საქმის კურსში ჩააყენოს მიმწოდებელი ყველა განსაკუთრებული გარემოების შესახებ;

8.1.2 ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, აუნაზღაუროს მიმწოდებელი საქონლის ღირებულება.

8.2. შემსყიდველს უფლება აქვს:

8.2.1 შეამოწმოს მიწოდებული საქონლის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან. განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა „მიმწოდებლის" მიერ ხელშეკრულების პირობების დაცვაზე;

8.2.2. მოითხოვოს იმ ზიანის ანაზღაურება, რაც გამოწვეულია მიმწოდებლის მიერ ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობით ან არაჯეროვანი შესრულებით;

8.2.3. მოთხოვოს მიმწოდებელს ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული, ჯეროვანი, დროული და კეთილსინდისიერი შესრულება;

8.2.4. მოთხოვოს მიმწოდებელს ნაკლოვანი ან უხარისხო საქონლის შეცვლა ან ნაკლის აღმოფხვრა.

8.3. მიმწოდებელი ვალდებულია:

8.3.1. დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა;

8.3.2. გადასცეს შემსყიდველს ამ ხელშეკრულების მე-2 მუხლში აღნიშნული საქონელი საკუთრებაში;

8.3.3. ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდებისას აცნობოს შემსყიდველს ყველა განსაკუთრებული გარემოების შესახებ;

8.3.4. აუნაზღაუროს შემსყიდველს ის ზიანი, რაც გამოწვეულია მის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობით ან არაჯეროვანი შესრულებით;

8.3.5. საკუთარი ხარჯებით შეცვალოს შემსყიდველის მიერ გამოვლენილი უხარისხო საქონელი ან აღმოფხვრას არსებული ნაკლი;

8.3.6. წარუდგინოს შემსყიდველს მიწოდებულ საქონელთან დაკავშირებული სრული დოკუმენტაცია.

8.4. მიმწოდებელს უფლება აქვს:

8.4.1. მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით;

8.4.2. მოსთხოვოს შემსყიდველს ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული, ჯეროვანი, დროული და კეთილსინდისიერი შესრულება.

8.4.3. მოითხოვოს იმ ზიანის ანაზღაურება, რაც გამოწვეულია შემსყიდველის მიერ ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობით ან არაჯეროვანი შესრულებით.

მუხლი 9. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

9.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადების გადაცდენის შემთხვევაში ყოველი დაგვიანებული დღისათვის მხარეს ეკისრება პირგასამტეხლო შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0.05 % -ის ოდენობით;

9.2. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში მხარეს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 10 (ათი) % -ის ოდენობით;

9.3. იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური მოცულობა გადააჭარბებს ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5 (ხუთი)%-ს, შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება;

9.4. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

მუხლი 10. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

10.1. „შემსყიდველის“ წარმომადგენლებს უფლება აქვთ განახორციელონ ტექნიკური კონტროლი და/ან გამოცადონ საქონელი, რათა დარწმუნდნენ მათ შესაბამისობაში ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ტექნიკურ პირობებთან;

10.2. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის აღმოფხვრა;

10.3. ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების კონტროლს განახორციელებს სსიპ – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ეკონომიკური რესურსების სამსახურის ლოჯისტიკის ჯგუფის უფროსი რატი ღვამბერია ან ლოჯისტიკის მენეჯერი გიორგი ფერაძე, რომელიც წერს დასკვნას ხელშეკრულების პირობებთან შესყიდვის საგნის შესაბამისობის შესახებ.

მუხლი 11. ხელშეკრულების შეწყვეტა

11.1. ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ;

11.2. ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელიც მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს მიღებული გადაწყვეტილება და მისი მიღების საფუძველი;

11.3. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან;

11.4. შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:

11.4.1. თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

11.4.2. მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;

11.4.3. საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში;

11.5. ამ მუხლის 11.4. პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად მიღებული საქონლის ღირებულება.

მუხლი 12. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა

12.1 მხარეები უფლებამოსილნი არიან მოახდინონ ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა და ცვლილება შეიტანონ მოქმედ ხელშეკრულებაში;

12.2 ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის ინიციატორმა მხარემ წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს შესაბამისი დასაბუთებული ინფორმაცია;

12.3 დაუშვებელია ხელშეკრულებაში იმგვარი ცვლილების შეტანა, რომლითაც უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის ან იზრდება ხელშეკრულების ღირებულება, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის და „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის №12 ბრძანებით დამტკიცებული წესით გათვალისწინებული შემთხვევებისა;

12.4 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს შეთანხმების სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

მუხლი 13. ფორსმაჟორი.

13.1. მხარეები არ აგებენ პასუხს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების მთლიანად ან ნაწილობრივ შეუსრულებლობისათვის, თუ ეს გამოწვეულია ფორსმაჟორული გარემოების დადგომის გამო და თუ ეს დაიწყო ან განვითარდა ხელშეკრულების დადების შემდეგ;

13.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა;

13.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

მუხლი 14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელისმოწერის დღიდან და ძალაშია 2020 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

მუხლი 15. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

15.1. წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას მხარეთა ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე;

15.2. თუ „შემსყიდველი" და „მიმწოდებელი" მოლაპარაკების დაწყებიდან 10 (ათი) დღის განმავლობაში ვერ შეძლებენ შეთანხმების საფუძველზე გადაწყვიტონ დავა, მაშინ ნებისმიერ მხარეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 16. სხვა პირობები

16.1. ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი პირობები რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით;

16.2. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე;

16.3. მესამე პირთან (პირებთან) ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით;

16.4. წინამდებარე ხელშეკრულების რომელიმე პუნქტის ბათილად ცნობა არ იწვევს მთელი ხელშეკრულების ან მისი სხვა პუნქტების ბათილობას;

16.5. წინამდებარე ხელშეკრულება არ შეიცავს რაიმე სიტყვიერ დამატებას;

16.6. მხარეებს შორის ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე;

16.7. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც იგი წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ;

16.8. ხელშეკრულება შედგენილია ელექტრონულად, მხარეების მიერ გამოყენებულია ელექტრონული ხელისმოწერა ან შტამპი;
16.9. ყოველივე ზემოაღნიშნულის დასადასტურებლად, სათანადო უფლებამოსილებით აღჭურვილმა ქვ-ემოთ აღნიშნულმა პირებმა ხელი მოაწერეს წინამდებარე ხელშეკრულებას.

მუხლი 17. მხარეთა ხელმოწერები

შემსყიდველი:	**მიმწოდებელი:**
სსიპ – მასწავლებელთა პროფესიული	შპს „დეკორი“
განვითარების ეროვნული ცენტრი	
დავით ხვედელიძე	**თამაზ შარიქაძე**
დირექტორის ფუნქციების დროებით	დირექტორი
შემსრულებელი	

დანართი N 1

N	საქონლის დასახელება/ მახასიათებლები	რაოდენობა	ერთეულის ფასი	საერთო ფასი	წარმოშობის ქვეყანა	მწარმოებელი კომპანია	მარკა/მოდელი (არსებობის შემთხვევაში)
1	ჩასანიშნი ქაღალდი ყუთში (75*75)	200	1.69	338	ჩინეთი	vega	მოდელი არ გააჩნია
2	ჩასანიშნი ქაღალდი წებოვანი (75*75)	400	0.61	244	ჩინეთი	vega	მოდელი არ გააჩნია
3	კალამი გელიანი	200	0.27	54	ჩინეთი	memoris	mf24313
4	კალამი ბურთულიანი (ლურჯი)	1000	0.09	90	ჩინეთი	memoris	orion 118
5	კალამი (მეტალის კორპუსით), ფერი - ლურჯი	100	0.54	54	ჩინეთი	montex	მოდელი არ გააჩნია
6	ფანქარი საშლელით (HB)	100	0.08	8	ჩინეთი	memoris	მოდელი არ გააჩნია
7	წებო მშრალი	50	0.18	9	ჩინეთი	memoris	მოდელი არ გააჩნია
8	ქაღალდის წებო თხევადი	50	0.27	13.5	ჩინეთი	memoris	მოდელი არ გააჩნია
9	სტეპლერი საშუალო 24/6-26/6	30	2.17	65.1	ჩინეთი	vega	vg207
10	სტეპლერის ტყვია 24/6-26/6 (არანაკლებ 1000 ცალიანი შეკვრა)	100	0.33	33	ჩინეთი	vega	მოდელი არ გააჩნია
11	სტეპლერი №10	30	1.8	54	ჩინეთი	vega	vg208
12	სტეპლერის ტყვია №10 (არანაკლებ 1000 ცალიანი შეკვრა)	50	0.2	10	ჩინეთი	vega	მოდელი არ გააჩნია
13	კალენდარი სამაგიდე 2020 წლის	50	1.99	99.5	საქართველო	ედესი ჯგუფი	მოდელი არ გააჩნია
14	კედლის კალენდარი 2020 წლის (გასაშლელი) 3 განყოფილებიანი, თარიღის ინდივიდუალური მონიშვნის საშუალებით	50	3.75	187.5	საქართველო	ედესი ჯგუფი	მოდელი არ გააჩნია
15	ტექსტმარკერი (სხვადასხვა ფერი)	300	0.28	84	ჩინეთი	deko	hl6572
16	მარკერი დაფის (სხვადასხვა ფერი)	1500	0.3	450	ჩინეთი	deko	wm6549

17	სკრეპი საშუალო №3	50	0.68	34	ჩინეთი	dingli	მოდელი არ გააჩნია
18	სკოჩი დიდი (45*40) გამჭვირვალე	100	0.76	76	ჩინეთი	deko	მოდელი არ გააჩნია
19	სკოჩი პატარა (15*17) გამჭვირვალე	100	0.12	12	ჩინეთი	deko	მოდელი არ გააჩნია
20	სკოჩი ორმაგი (სიგანე 12მმ; სიგრძე 10მ; სისქე 0.8მმ)	100	0.66	66	ჩინეთი	deko	მოდელი არ გააჩნია
21	საკანცელარიო დანა დიდი	25	0.38	9.5	ჩინეთი	memoris	mf1145a
22	საკანცელარიო დანა პატარა	25	0.23	5.75	ჩინეთი	memoris	mf1135
23	კორექტორი როლერი	50	0.67	33.5	ჩინეთი	deko	dk89
24	კორექტორი კალამი	50	0.54	27	ჩინეთი	deko	dk803
25	სათლელი (პლასტმასის)	30	0.05	1.5	ჩინეთი	memoris	მოდელი არ გააჩნია
26	მაკრატელი (საშუალო ზომის)	30	0.82	24.6	ჩინეთი	deko	მოდელი არ გააჩნია
27	სახაზავი 30 სმ-იანი	30	0.2	6	ჩინეთი	foska	AS0630
29	მელანი შტამპის (ბეჭდის); ფერი - მოთხოვნის შესაბამისად; 25 მლ. (არა ზეთოვანი)	5	0.48	2.4	ჩინეთი	dingli	მოდელი არ გააჩნია
30	დაფის საშლელი (მაგნიტის)	20	1.05	21	ჩინეთი	doho	მოდელი არ გააჩნია
31	კორექტორი ფუნჯით	10	0.57	5.7	ჩინეთი	deko	მოდელი არ გააჩნია
32	სამაგიდე ნაკრები არანაკლებ 11 საგნიანი	20	5	100	ჩინეთი	deko	მოდელი არ გააჩნია
33	ფერადი ქაღალდი A4, 80გრ. (500 ფურცელი) სხვადასხვა ფერის	30	13.19	395.7	ჩინეთი	vega	მოდელი არ გააჩნია
34	ფლიფჩარტის ქაღალდი (20 ფურცლიანი)	2500	5.32	13300	საქართველო	ედესი ჯგუფი	მოდელი არ გააჩნია
35	ასაკინძი აპარატის აქსესუარები A4 ფორმატის ბროშურის ასაკინძი ლითონის ზამბარა (30-60 გვერდის ოდენობის) ასაკინძად	30	14.58	437.4	ჩინეთი	deko	მოდელი არ გააჩნია

36	ასაკინძი აპარატის აქსესუარები A4 ფორმატის ბროშურის ასაკინძი ლითონის ზამბარა (80-100 გვერდის ოდენობის) ასაკინძად	30	16.96	508.8	ჩინეთი	deko	მოდელი არ გააჩნია
37	ასაკინძი აპარატის აქსესუარები გამჭვირვალე ყდა A4 ფორმატის ბროშურის ასაკინძად	50	8.75	437.5	ჩინეთი	deko	მოდელი არ გააჩნია
38	CD მარკერი	250	0.18	45	ჩინეთი	comix	mk804
39	სწრაფჩამკერი	250	0.77	192.5	თურქეთი	tex	მოდელი არ გააჩნია
40	საკანცელარიო რეზინი (100 ცალიანი)	50	0	0	ჩინეთი	deko	მოდელი არ გააჩნია
41	საწერი კალამი შავი ფერის ბურთულიანი	150	0.09	13.5	ინდოეთი	orion	მოდელი არ გააჩნია
42	პერმანენტ მარკერი, სხვადასხვა ფერის	2000	0.2	400	ჩინეთი	deko	მოდელი არ გააჩნია
43	კალამი (პრემიუმ ხარისხის, კნოპკიანი, კონუსისებური წვერით, არაუმეტეს 1.0მმ-იანი ბურთულით. ერგონომიული ხელსაკიდით, მეტალის საკიდით და მეტალის კორპუსის წვერით; ლურჯი ფერის მელნით)	100	4.88	488	იაპონია	pilot	მოდელი არ გააჩნია
44	ბეიჯი (ჰორიზონტალური A1, შიდა ზომა არანაკლებ 90X54 მმ)	500	0.16	80	ჩინეთი	foska	მოდელი არ გააჩნია
45	ბეიჯის ზონარი (არანაკლებ 85სმ. სიგრძის, სამაგრით)	500	0.34	170	ჩინეთი	foska	მოდელი არ გააჩნია
46	ჩასანიშნი წებოვანი გამჭვირვალე, ფერადი (დივაიდერი)-არანაკლებ 7 ფერში	50	1.3	65	ჩინეთი	deli	მოდელი არ გააჩნია
47	თითის დასასველებელი (პლასტმასის, ბურთულიანი)	20	1.75	35	ჩინეთი	dingli	მოდელი არ გააჩნია
48	ფერადი ფანქარი შეკვრაში არანაკლებ 6 ფერი	30	0.87	26.1	ჩინეთი	foska	მოდელი არ გააჩნია
49	ფერადი ქაღალდი A4 ფორმატის მაღალი ხარისხის 80 გრ/მ2 შეკვრაში არანაკლებ 250 ფურცელი 10 ფერიანი.	30	8.05	241.5	ჩინეთი	vega	მოდელი არ გააჩნია
50	ქაღალდის სკოჩი 50მმ.X25მ.	400	4.56	1824	ჩინეთი	evro fix	მოდელი არ გააჩნია
51	სკოჩი (ქაღალდის სკოჩი 48მმ 18.3მ)	200	1.41	282	ჩინეთი	evro fix	მოდელი არ გააჩნია
52	სკოჩი (ქაღალდის სკოჩი 24მმ 18.3მ)	200	2.46	492	ჩინეთი	evro fix	მოდელი არ გააჩნია

53	დაფის საწმენდი სითხე	20	2.66	53.2	ჩინეთი	foska	მოდელი არ გააჩნია
54	პლასტელინი (12 ფერიანი რბილი)	20	1.79	35.8	ჩინეთი	iuni shkolnik	მოდელი არ გააჩნია
55	ფლიპჩარტის მარკერი. კორპუსის სიგრძე:არანაკლებ 125მმ; თავისსიგრძე: არანაკლებ 7მმ; დიამეტრი:არანაკლებ 4მმ, ფერი: წითელი,შეკვრაში არანაკლებ 10 ცალი	500	0.2	100	ჩინეთი	deko	pm2251-rd
56	ფლიპჩარტის მარკერი. კორპუსის სიგრძე:არანაკლებ 125მმ; თავისსიგრძე: არანაკლებ 7მმ; დიამეტრი: არანაკლებ 4მმ, ფერი: მწვანე, შეკვრაში არანაკლებ 10 ცალი	500	0.2	100	ჩინეთი	deko	pm2252-gn
57	ფლიპჩარტის მარკერი. კორპუსის სიგრძე:არანაკლებ 125მმ; თავისსიგრძე: არანაკლებ 7მმ;დიამეტრი:არანაკლებ 4მმ,ფერი: ლურჯი, შეკვრაში არანაკლებ 10 ცალი	500	0.2	100	ჩინეთი	deko	pm2253-bu
58	მექანიზმიანი ბეჭედი PRINTER R 40-ის მსგავსი	2	82.54	165.08	ავსტრია	colop	printer R40
			სულ	**22206.63**			

მხარეთა ხელმოწერები

შემსყიდველი:

სსიპ – მასწავლებელთა პროფესიული

განვითარების ეროვნული ცენტრი

დავით ხვედელიძე

დირექტორის ფუნქციების დროებით

შემსრულებელი

მიმწოდებელი:

შპს „დეკორი“

თამაზ შარიქაძე

დირექტორი

ჩვენ ქვემოთ ხელისმომწერნი, ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების მიზნით, გავეცანით „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლს (ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების პირობები და წესები) და ხელისმოწერით ვადასტურებთ, რომ მიმწოდებლის მიმართ (შპს „დეკორი") არ ვიმყოფებით ინტერესთა კონფლიქტში.

სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის

დირექტორის ფუნქციების დროებით შემსრულებელი

/ დავით ხვედელიძე/

სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის

ეკონომიკური რესურსების სამსახურის საწყობის მენეჯერი

/გოჩა ბასილაია/

სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის

ეკონომიკური რესურსების სამსახურის ლოჯისტიკის მენეჯერი

/გიორგი ფერაძე/

სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის

ეკონომიკური რესურსების სამსახურის ლოჯისტიკის ჯგუფის უფროსი

/რატი ღვამბერია/

ვიზირება:

სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული

ცენტრის ეკონომიკური რესურსების სამსახურის

უფროსი / ია ძებისაური/

სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული

ცენტრის ეკონომიკური სამსახურის შესყიდვების

ჯგუფის უფროსი /ნიკო გიგოლაშვილი/

შემსრულებელი

სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის

ეკონომიკური რესურსების სამსახურის შესყიდვების სპეციალისტი

/ირინე სადრაძე/